29/12/2020

ორმოცი დღე გავიდა სერბეთის პატრიარქ ირინეოსის გარდაცვალებიდან

დღეს, 2020 წლის 29 დეკემბერს, ორმოცი დღე გავიდა უწმიდესი სრულიად სერბეთის პატრიარქის ირინეოსის გარდაცვალებიდან.

მისი უწმიდესობა მიმდინარე წლის 20 ნოემბერს, კორონავირუსული ინფექციის შედეგად, 90 წლის ასაკში გარდაიცვალა.

უწმიდესი ირინეოსი 2010-2020 წლებში მწყემსმთავრობდა სერბეთის მართლმადიდებელ ეკლესიას.

უფალმა სასუფევლის მკვიდრობა მიანიჭოს პატრიარქ ირინეოსს და მისცეს საუკუნო ხსენება.

შეგახსენებთ, რომ 2021 წლის 18 თებერვალს გაიმართება სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილობრივი კრება, რომელიც უზრუნველჰყოფს სერბეთის ახალი პატრიარქის არჩევას.

— wenews.ge